



11771/1-6/21 2 01122021

11771/1-6/21  
01-12-2021

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს  
ბატონ დავით ზალკალიანს

ბატონო დავით,

მოგესხნებათ რომ ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია წარმოჩინდეს, როგორც ევროპული კულტურული და ღირებულებითი სივრცის განუყოფელი ნაწილი, რომელიც პატივს სცემს და იზიარებს დასავლურ ღირებულებებსა და ფასეულობებს და რომელიც მონაწილეობს ამ ღირებულებების პოპულარიზაციასა და დაცვაში.

ევროპული, განვითარებული ქვეყნებისთვის მნიშვნელოვანია ისეთი საკითხები, როგორცაა გარემოს დაცვა, ცხოველთა უფლებების დაცვა, ადამიანისა და შინაური ცხოველის ჰიგიენასთან, ჯანმრთელობასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები.

აღნიშნულის მოსაგვარებლად ევრო საბჭოს მიერ 1984 წელს მიღებულ იქნა „შინაური ცხოველების დაცვის ევრო კონვენცია“ (European Convention for the Protection of Pet Animals), რომლის ხელმომწერი სახელმწიფოც საქართველო არ გახლავთ, შესაბამისად ზემოაღნიშნული დოკუმენტი ჩვენს ქვეყანაში რატიფიცირებული არ არის.

ამ ეტაპისთვის საქართველოს პარლამენტში ხდება შინაური ცხოველების დაცვის შესახებ საქართველოს კანონის შემუშავება. ასევე, მიმდინარეობს კანონპროექტის განხილვა, რომელიც ეხება შინაური ცხოველის მეპატრონის უფლება-მოვალეობების დარეგულირებას. აღნიშნული დოკუმენტები მნიშვნელოვან ცვლილებებს შეიტანს ქვეყანაში შინაური ცხოველების უფლებების დაცვის მიმართულებით. თუმცა, იმავდროულად მნიშვნელოვანია ქვეყანა იყოს მიერთებული შინაური ცხოველების დაცვის ევროპულ კონვენციას, რომელიც უნდა იყოს სახელმძღვანელო დოკუმენტი ქვეყნის შიდა კანონმდებლობის ჩამოყალიბებისთვის. აღნიშნული დოკუმენტის ხელმომწერით სახელმწიფო განაცხადებს, რომ მისი ხედვა და პოლიტიკა შინაური ცხოველების დაცვასთან დაკავშირებით არის ევროპული ღირებულებებისა და ფასეულობების მატარებელი.

„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საგარეო საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილებაა წარუდგინოს საქართველოს მთავრობას წინადადება საერთაშორისო ხელშეკრულების დადების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოგვაწოდოთ ინფორმაცია, გეგმავს თუ არა და რა ვადაში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, წარუდგინოს საქართველოს მთავრობას წინადადება - „შინაური ცხოველების დაცვის ევრო კონვენციის“ (European Convention for the Protection of Pet Animals/ სტრასბურგი, 13.XI.1987), ხელმოწერის თაობაზე.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი  
ლევან იოსელიანი





# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

34733-01-2-202112151120



## ს ა გ ა რ ო ს ა ქ მ ე თ ა ს ა მ ი ნ ის ტ რ ო

№ 01/34733

15/12/2021

საქართველოს პარლამენტის წევრს  
ბატონ ლევან იოსელიანს

ბატონო ლევან,

თქვენი 2021 წლის 1 დეკემბრის №11771/1-6/21 კორესპონდენციით წარმოდგენილ სადეპუტატო შეკითხვასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება 1987 წლის 13 ნოემბრის „შინაური ცხოველების დაცვის შესახებ“ ევროპული კონვენციის რატიფიკაციის საკითხს, გაცნობებთ შემდეგს:

აღნიშნული კონვენციის საქართველოს მიერ სავალდებულოდ აღიარების მიზანშეწონილობის განსაზღვრისა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად წინადადების წარმოდგენის მიზნით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ 2021 წლის 6 დეკემბრის №01/33583 წერილით მიემართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, როგორც ამ კონვენციით რეგულირებულ საკითხებში კომპეტენტურ უწყებას.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოთქვამს მზადყოფნას დაუყოვნებლივ განახორციელოს „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი პროცედურები საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, ამავე კანონის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ხსენებული ხელშეკრულების დადების წინადადების წარმოდგენისთანავე, რომელიც უნდა შეიცავდეს: საერთაშორისო ხელშეკრულების ავთენტურ ტექსტს ქართულ ენაზე და შესაბამის უცხოურ ენაზე, საერთაშორისო ხელშეკრულების დადების მიზანშეწონილობის, მისი პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური, ფინანსური და სხვა შესაძლო შედეგების დასაბუთებას. ამასთან, საჭიროების შემთხვევაში წინადადებას უნდა დაერთოს პროექტი საქართველოს ნორმატიულ აქტებში ცვლილებების შეტანის შესახებ.



პატივისცემით,  
ლაშა დარსალია



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი - მ.შ.